ბანთიადი

II კლასი

2025 წელი ლიდერი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

მასწავლებელი _____

დავალება ფასდება 2 ქულით

1. იპოვე სამი ათეულისა და ოცდაშვიდი ერთეულის ჯამი.

ა) 30 ბ) 50 გ) 57 დ) 60

დავალება ფასდება 3 ქულით

2. რა რიცხვის გაორმაგებით მიიღეს 32 ?

ა) 16 - ის ბ) 18 - ის გ) 14 - ის დ) 17 - ის

დავალებები ფასდება 5 ქულით

3. რისი ტოლია 40 - ის წინა ორი რიცხვის სხვაობა?

ა) 2 - ის ბ) 5 - ის გ) 3 - ის დ) 1 - ის

4. რიცხვები 15; 63; 17; 45; 34; 13; დაალაგე კლების მიხედვით. რისი ტოლია პირველი და ბოლო წევრების ჯამი?

ა) 76 ბ) 79 გ) 60 დ) 72

დავალებები ფასდება 7 ქულით

5. ნუცამ დაფაზე დაწერა რიცხვები 3, 6, 9, 12, 20, 17, 48. რამდენით მეტი ლუწი რიცხვი დაწერა ნუცამ ვიდრე კენტი რიცხვი?

ა) ორით ბ) ერთით გ) სამით დ) არც ერთით

6. გიორგის 10 ბუშტი აქვს, ლიზას მასზე 2 - ით მეტი. რამდენი ბუშტი ექნება ნიას თუ გიორგი და ლიზა ბუშტების ნახევარს მისცემენ?

ა) 6 ბუშტი ბ) 10 ბუშტი გ) 11 ბუშტი დ) 7 ბუშტი

7. რას უდრი 29 - ისა და 44 - ის ერთეულების თანრიგში მდგომი ციფრების ჯამი?

ა) 6 ბ) 13 გ) 11 დ) 12

დავალებები ფასდება 8 ქულით

8. უმცირესი ორნიშნა რიცხვის მომდევნო რიცხვი გაორმაგეს და მიუმატეს 9. რა რიცხვი მიიღს?

ა) 22 ბ) 23 გ) 31 დ) 32

9. მართამ სამი ხუთლარიანი შოკოლადი და ერთი სამლარიანი „ცივი ჩაი“ იყიდა. რამდენი ლარი გადაიხადა მართამ?

ა) 15 ბ) 12 გ) 17 დ) 18

10. თეამ ჩაიფიქრა რიცხვი, რომელიც 15 - ზე მეტია და 18 - ზე ნაკლები. ჩაფიქრებული რიცხვი გაანახევრა და გაადიდა 14 - ით. რა რიცხვი მიიღო თეამ ?

ა) 19 ბ) 20 გ) 18 დ) 22

დავალებები ფასდება 10 ქულით

11. გია შაბათობით 16 ლარს იღებს ხელფასს. კვირას კი მისი ხელფასი ორმაგდება. რამდენ ლარს აიღებს გია შაბათსა და კვირას?

ა) 40 ლარს ბ) 32 ლარს გ) 42 ლარს დ) 48 ლარს

12. ბებიამ თავის სამ შვილიშვილს ნინის, ლუკას და თედოს წითელი, მწვანე და ლურჯი წინდები მოუქსოვა. ნინის წითელი წინდა შეხვდა. ლუკას არ შეხვდა ლურჯი. რა ფერის წინდა მისცა ბებიამ თედოს?

ა) წითელი ბ) ლურჯი გ) მწვანე დ) არც ერთი

13. ორი რიცხვის ჯამი 70 - ის ტოლია. ერთ - ერთი შესაკრები გაადიდეს 12 - ით. მეორე კი შეამცირეს 7 - ით. რისი ტოლია ჯამი?

ა) 65 ბ) 58 გ) 62 დ) 75

14. ორ სართულს შორის 7 საფეხურია. რამდენი საფეხურია მესამე სართულიდან მეხუთე სართულამდე?

ა) 21 ბ) 14 გ) 12 დ) 17